

572 / 2  
1986

ISSN 0132-5

041963240  
20201003030303



12 - N. 041963240 1986

САМЫЕ



„მარად და კულტურა,  
საქართველო, მე კარ შენ  
თანა!“

იღდა ჭავჭავაძემ პირ-  
ნათლად მეასტრულა სამ-  
შობლოსათვის ნათევაძი ეს  
სიცემბერი—თეი საქართვე-  
ლოსთან არის აწ და მა-  
რადის... ამიტომ ვეწოდეთ  
ასე კონკრეტს, რომელსაც  
უკრალი „დილა“ აცხა-  
დებს იღდა ჭავჭავაძის და-  
ბადების 150 წლის თბილების აღსანიშნავად.

ეს არის კონკრეტი საუ-  
კუთხოვ ნახატზე, რომელის  
თემა იქნება იღდის ცხოვ-  
რება და შემოქმედება; ვი-  
საც პორტრეტის ხატვა  
კმარისება, დასატოს ფი-  
ორნი მწერლის პორტრეტი.

კონკრეტში მონაწილეო-  
ბა შეეძლათ, „დილას“  
მკითხველებთან უთად, კუ-

ლა ასაკის მოხწავლეებს.  
იღდის წინდა სახელი ზომ  
ძეირფასი და სიამავითა და  
სიქადულით სახსენებელია  
თითოეული თექვნივისათ-  
ვის. თექვნ ბევრი რამ გის-  
წავლათ და წაგიყითხავთ  
მისი. ჩვენს ურნალმიც  
ესე წელიწადზე მეტად  
თითოეული გამო შევებით  
კითხვლობობ მწერალ გივი  
გეგმვისობის კრცხვდ ნარქ-  
ვები იღდა ჭავჭავაძის  
ცხოვრებისა და შოღვწეო-  
ბის შესახებ. ამ ნარგვები  
ამოიკითხეთ საინტერესო  
ფაქტები, გაიდანით იღდას  
ახლობლები და მოამჟღნი,  
მეცნობრები და თანამოაზ-  
რენი, შეიცველ ზოგიერთი  
ნაწარმოების ღაწერის ის-  
ტორია, კიდევ ურთხელ  
გადაადგულ ფაზადი იღდას  
თექვნობის ნაცნობ თხზუ-  
ლებებს... ვეფიქრობთ, ვე-  
ლამ იციათ რაღაც ისეთი,  
რაც თექვნს გულს ისე  
შეაფიოდ, ისე ცხოვლად  
დაჩნდა, რომ აღარასოდეს  
დაგავიწევებათ.

მოგმართვათ უფროსებ-  
საც—მძიმელების, აღმზრდე-  
ლების, მასწავლებლების. წაუ-  
კითხეთ, განუმარტეთ, გააცა-  
ნით თექვნს მატარებს იღდას

ესა თუ ის ნაწარმოები...  
„დილა“ შევ ესავორა მთ  
იღდის კვირებზე—ნიკო-  
ლოთხ გოგრასაბიძეილზე  
მუკე დიმიტრი თავდაწყ-  
ბულზე, კავთ განაწილე  
ესაუბრა ბაზალეთის ტბის  
ლეგენდაზე შემწილ თუ  
ეკვრილის მოებისაბმი მიძ-  
ლვილ ლეგენდაზე და სხვებ-  
ზეც...—თექვნ თექვნის ს  
მხრივ გააცანით მათ იღდის  
ლეგენდი, მოთხრობები,  
პოემები ანდა საკულისტო  
ნაწევრები, დახმარეთ  
შეგ წახუდნენ მათს მთა-  
ვარ აზრს.

1987 წლის ბოლოს,  
იღდა ჭავჭავაძის დაბადე-  
ბის 150 წლისთვის საერ-  
ველთაღ აღნიშვნისას გა-  
მოვა „დილის“ საიტილურ  
ნოსტრი, რომელიც მოლია-  
ნად ბაჭყების ნახატებით  
იქნება დასწრათვებული.

კრიმ თხოვნა ვაჭვებს:—  
დახურეთ ან სალებავებით, ან  
უკრადი ფლობასტერებით.  
ნახატის ზომა არ უნდა  
აღემატებოდეს 20X30 სმ.  
გამოგზავნის ბოლო ვადა  
1987 წლის 1 ივნისი.  
ჩვენი მისამართი: 380096,  
თბილისი, ლენინის 14,  
ურნალი „დილა“.

18.2.08

# პირველი

„პირველი“ ჩვენი უწმისი შეკობაზე, უწმისი ძმაა ჩვენი, წვენ თამ არით წინაპრები გვავავ— „წარის“ (1881) და „წარისა“ (1883).

წელ 1882 წლისად, მასრავმარა განცემული წელი და წლები, ამ თავ კუთხით გამოიყენებოთ ქართველი ბავშვების კუთხიდღურისადამისა გამოცემისთვის, რომ ეძაბედით და ტანასთ მის სიკუთავი ჯერ აკიდი („ჯერადი“—1880), მუდამ წინ კუთხით აღიარებული და გამოცემისთვის გვევადაბირთვა დასრულდა ამ დღის მიზანით ნაკალი („ნაკალი“—1884). ამ წლის მიზანით შეწევილა შეკრიულებული მაგრამ „გამარტინ“ საკუთრივი ფონდი და სიკრეატიული მდგრადი კუთხისთვის...

1919 წელს კი „კუთაის“ ნაკლები გარნიზონის მისამართ სასახლელი სამართლების მიმმართ აუგია და გამოიცა კუთხიდღური საკუთრივი ფონდის მიზანით.

50 წელია დათაღუმული კამატული კუთხიდღური „პირველი“ ჩვენი ქვეყნის მომავლის—უკედაურის კუთხიდღური, შესწენების და კუთილის გამარტიულების—პირველების კამატულებით დღის!

— 2 0 2 2 —

# ღერძინი ეპიზოდი

სატულა  
ლინება  
მარიამ  
გარებარება



გათენებისას პეპელა დაიბადა. ძალიან, ძალიან ლაპაში იყო და ლამის ღერძულამა ხატულა შეარქვა. ღამით წვიმიდა, ღლეც წვიმიდან ის გათენდა. ხატულამ მაყვლის ბარდის ჩბირი ფოთლებიდან ფრთხილად გმომოხედა. ცა პირებში, საავტოროდ დაღვრებილ ღრუბლებს ისე გადაეგლისა, რომ მზეს ურთი სხივის გამოცვერაც ვერ მოეხერხებინა. — „აი, ბეჭე, ერთი დღე გენენის სიცოცხლისას და ისიც ღრუბლინი! წუთუ ნაირთაც ვერ მოვურა თვალს მზეს, წუთუ მინდონში ვერ გაეურინდები?“ ჩატულდა, ხატულა.

— მოიცა, რა უცად გადაინუვიტე იმედი, იქნებ გამოიდაროს, — შეებაურა ფურქის ხიდან სახლულებულოს ზღურბლებებ გადომიდგარი იქნებოდა ციცაცა.

— ან გამოიდარებს, ან არა? — გულისძა-სახეობები ნამოიძხა ნაძვის რტოვებში შემალულმა ჩხიკებმა. მაყვლის ბარდის ტოტზე მაგრად მიკრულმა, ძილბურანში ნასულმა ძილისგუდამ კი ზედ ყურთან ნაუდუდუნა პეპელა ხატულას:

— რომც არ გამოიდაროს, რა უშავს მერე?!

— ოჲ, რას ამბობთ, რა უნდა ვაკეთო მთელი დღე, თუ არ გამოიდარა. — შეწყოთდა პეპელა.

— რა უნდა გააკეთო და... ასეთ წვიმიან დღეს, ასეთი ქუფული ღრუბლებით მობურულ დღეს, რა სჯობია ძილს, ოჲ, რა სჯობა ძილს, დანერე და იძინე და იძინე. — ძილისგუდამ ტკბილად ამოიცუშინა და ისევ ძილის ნეტარებაში ჩავიდო.

— ოჲ, რად მინდა ეგ შენი ძილი, მაგისათვის დაუიბაძე, მთელი სიცოცხლე ძილში გავატარო?!

— ულრო შეწყოთდა ხატულა.

— რას უსმერ, მაგან ძილის მეტი არაფერი იცის, დღე და ლამე სძინავს. წუ ჯავრობ, ჩემი სიცორიფანავ, ცოტა მოითმინე და ალბათ გამოიდარებს. — დაუყვავა მაყვლის ბარდმა ხატულას და ფოთლები აქეთ-იქეთან კარგად ამოუკეცა, რომ წვიმის ურთი წვიმით არ მოხვედროდა.

— ან გამოიდარებს, ან არა, — ნამოისროლა ისევ ჩხიკებმა. ხატულა საწყლად აიზუზა. ციცაცა მწყრალად გადახედა ჩხიკესაც და შეკვდარისთ ჩატნებულ მილისგუდასაც. მაყვლის ბარდშა კი წუნარიად შეარჩია ფოთლები და თავისოთვის ჩაილაპარაკა:

— ეგ ხომ ეგრე იქნება, ან გამოიდარებს, ან არა.

ხატულამ ღრმად ამოიოხრა. ციცაცი უცებ

ალელდა, ხატულას ოხვრა ვერ აიტანა, წვიმა-  
საც აღარ დაერიდა, ფულუროდან გამოხტა-  
და ტოტშე გაირბინ-გამოირბინა: — მერე  
რა, რომც არ გამოიდონოს, მერე რა?! აბა,  
მითხარი, ხატულავ, ისიც ხომ კარგია, რომ  
იცი, იმ ღრუბლებს უყან მზე დგას, ხომ კარ-  
გია? — შეეკითხა პერელას.

ხატულამ ხმა არ ამოილო. ციყვმა მაინც  
განაგრძო: — ისიც ხომ კარგია, მინდონს  
შორიდან რომ გაჟყურებ?

ხატულა შეიშმუშა, ფოთლებიდან ოდნავ  
ამოინია და წვიმით გალორთხილ და გაჟიე-  
ბულ მინდონს გულდანყვეტით გახედა.

— ისიც ხომ კარგია, — წინ და უყან დარ-  
ბოდა ციყვი ტოტშე, — ისიც ხომ კარგია, ერ-  
თად რომ ვართ, ერთმანეთს რომ ცუცურებთ,  
ხომ კარგია?

პერელა კრინტს არ ძრავდა.

— რაგომ ხმას არ იღებ? — იწყინა ციყვ-  
მა, — ხომ კარგია?

მეტი გზა არ ჰქონდა, ხმა ამოილო პერე-  
ლამ, ოღონდ მაინც როგორდაც უგემურად,  
და ისევ ჩაინა ფოთლების სილრმეში, მიყუ-  
ჩდა. წევმას შიუგდო ყური. უსმინა, უსმინა  
ფოდხას; უსმინა დამზერით, ყურადღებით:  
წვიმდა, წვიმდა გულისგადამლევეად. მთელი  
სიღრცე წვიმის ბადეში იყო გამარტლი და გა-  
ხვეული. ძილისგუდას ეძინა ღრმად და გუ-  
ლიანად. ჩხიერი ენას აღარ ძრავდა, ციყვიც  
ჩუმად იყო, მაყვალის ბარდიც. პერელა დუმ-  
და და წვიმას უსმენდა. მერე ასე მოხდა (ცი-  
ყვემა პირველმა დაინახა): მაყვალის ფოთლები  
გადაისხნა, იქიდან ფრთებგაშლილი ულამა-  
ზესი პერელა ამოქანდა და პირდაპირ წვიმა-  
ში გადაეშვა... გაფურცენა და დაცემაც ერთი  
იყო: იჯვა, მაყვალის ბარდის წინ, სვერი ბა-  
ლახების ხავერდში ჩაიტანა წვიმამ და შხა-  
ჰუნით გადაუარა...

ერდანცემი ციყვი ფულუროში შევარდა,  
გული გახეთქაზე ჰქონდა...

— უჟვა! — ღრმად და მნარედ ამოიგმინა  
დევანგინა, თითქოს თან გულიც ამოატანა...  
ძილისგუდა ძილშიც კი მიხვდა, რაც მო-  
ხდა, ძილმღვინარე უაზროდ მაშტერდა სივ-  
რცეს.

„თავი ასე როგორ გაიმეტა, თავი ასე რო-  
გორ გაიმეტა?“ მარტი ეს სიტყვები უტრია-  
ლებდა თავში ხმაჩარლინილ ჩხიერს. მაყვ-  
ლის ბარდი ააგდაგდა, ტოტები უსაზღვრო  
მწუხარებით, უსასოლდ და უმნეოდ ჩამოყა-  
რა ძირს და გულამოსევნით მოჰყვა გოდე-  
ბას: — ოოო, ოოო, ეგ, რა პექნი, რა, ჩემო  
სიფრიჭანავ, შე სულაშრაფო, შე უტმიბე-  
ლო და ჩევენი გულის მომკვლელო, მზეს კი  
არა, ახლა ხომ ღრუბლებსაც ვიღარ ხედავ,  
რა პექნი, რა, რა...



## რატომ?

თათი სტკიფა დათუნიას,  
— რამ ატყინა თათი, ნერავ?  
თურმე უსტბარს ჟებენია.  
— ასე რატომ გაიძებრა?  
ნურცა ჰქოთხავთ... ეს, ჰასუხი  
ძლიერ ძნელი გახდავთ მისთვის.  
აქაგანდა სკასთან კრუხი:  
— დაისაჯა ქურდობისთვის!



## ჩვენი გაღი შაბათ-კვირას

შაბათ-კვირას საბავშვო  
ბაღი ღაერილია.  
— ვიღასთან ვითამაშოთ? —  
თოჯინები ტირიან.  
ეგაფილები ნაწინარა  
ტოტებს აღარ არსევე,  
წურწულებები ჰატარა  
ქალ-ვაჟების სახელებს.  
ჩიტუნია ჩიტისაც  
ფრთვები ღაშეცცრა.  
თვალს არიდებს თითქოსდა  
ბაღს მზექალა-ეჭვეწვიაც.  
შაბათ-კვირას საბავშვო  
ბაღი ღაერილია.  
— ვიღასთან ვითამაშოთ? —  
თოჯინები ტირიან.  
— ჩქარა, უშემო სუკელას:  
დევანს, ბექას, თამარისო! —  
თრი ღღე რომ უქმე გვაქენ,  
იმ თოჯინებს არ ახსოვთ? —  
რა აწუხებთ, სულ მალე  
თრმიბათი ღაღება  
და მთელი არემარე  
ლაღად ასმიანდება.

## မတဒေါ်လာစက္ခတ်

— လှို့လှို! — အျောက်ရွှေ မြှို့နယ်စားဖျော်  
ရှာ ဖျော်စာ မျှော်စာ ကျော်စာ,  
သုတေသနမျှော်စာ မြတ်စွာနော်ပါ၊  
ဖျော်စာ မျှော်စာ ကျော်စာ မြတ်စွာနော်ပါ၊  
အောင်မျှော်စာ ဘားရှာ မာရွှေလွှာ  
ရှာ ကျော်စာ မြတ်စွာနော်ပါ၊  
— မြတ်စာ ဒါလာဖြ တားရှာ ရှေ့စွာလွှာ  
ရာလွှေလာပွား မြတ်စွာနော်ပါ!  
မြတ်စာ မြတ်စာ မြတ်စာ,  
ရေမ မြတ်စွာလွှာ မြတ်စာ မြတ်စွာလွှာ  
ဝါ ဝတ္ထဲလွှာပါ ဖျော်ချော်လွှာ  
မျှော်လွှာပါ ဝတ္ထဲလွှာ မြတ်စွာလွှာ —  
ရှာအံနှောင် ကျော်စာ ရှေ့စွာလွှာ,  
ကျော်လွှာပါ မြတ်စွာလွှာ တားရှာ:

— ငျော်စာ ရာမ ဂုဏ်စာ  
ဦး၊ ဂုဏ်စာ၊ ဦးလာရ ကျော်စာ!  
ဦး ရေမ မြတ်စားရှေ့စာ ဂုဏ်စာ,  
မာရွှေ ဦးလာ မြတ်စာနဲ့?  
မြတ်စာ မြတ်စာ တွေ ရွှေကောင်း၊  
မြတ်စာ မြတ်စာ တားရှာ၊ မြတ်စာ!



## ဖော်ဇာ ၉၁

## ပျော်လွှာလွှာ

— ရှားမာရာ ဂုဏ်စားလွှာ၊  
မြင် ဦး ဖျော်စာ ရာမြှော်စာ ကျော်စာ၊  
မြတ်စာပါ ရော်စာ အရော်စာ လွှာလွှာ၊  
မာတော်၊ အားလုံး အားလုံး  
မြတ်စာ မြတ်စာ ရော်စာ အရော်စာ လွှာလွှာ —  
မြတ်စာ မြတ်စာ ရော်စာ အရော်စာ လွှာလွှာ၊  
မြတ်စာ မြတ်စာ ရော်စာ အရော်စာ လွှာလွှာ...  
မြတ်စာ မြတ်စာ ရော်စာ အရော်စာ လွှာလွှာ...  
မြတ်စာ မြတ်စာ ရော်စာ အရော်စာ လွှာလွှာ...





## გარეთ კი თოვდა

თინა ავაძა

თოვდა და თოვდა. დიდი, ბუთქუნა ფიფ-ქები მოიტინავდნენ, დინჯად და პარაშუტები იკითხონ ნარნარად ეფინებოდნენ დედამინას. ანუკა ფანჯრის რაცაზე იჯდა და თავის ყველაზე საყვარელ თოვინას — ჯუჯა ტუსის ესაუბრებოდა. ბებიაც იქვე იყო და ქსოვდა. დიდი, თეთრი ძალის გორგალი ხან მაგიდის ქვეშ შეგორდებოდა, ხან დივანის ქვეშ. ასეთ დროს, კატებიც იქვე არიან ხოლმე — ან გორგალს დასდევენ, ანდა თვლებენ და კრუტუნებენ, მაგრამ ანუკას კატა თოახში არ ჩანდა. — ტუკი, ჩვენი კრუტო სად არის, თუ

იციო? — ჰეკითხა ანუკამ ტუკის. ტუკი ცალი თვალით ელამი იყო, ხან მარჯვენა თვალი დახუჭა, ხან — მარცხენა, ანუკამ ხელი ჩაიქნია, — რამ დაგამუჯნა და დაგაყრუა, როცა გეთამაშება, მაშინ ხომ კარგი ბიჭია ჩვენი კრუტოო. მერე ჩამოხტა და ბებოს ჰეკითხა — ბები! შენ ხომ არ იცი, ჩვენი კრუტო სად გადაკარგაო. ბებიამ საფალის ზემოდან გამოხედა და უთხრა: — ალბათ ჩიტებზე სანადიროდ თუ წაბრძანდა, მეტე სადღა წავიდოდა. ანუკას პირი ლია დარჩა გაოცებისაგან, თვალჭუტალა ტუკი მიაგდო



და ჩექმებსა და პალტოს სწვდა. მერე ბებოს ყელი გამოიწეო — გამიშეო რა, ბერთ, თორემ იმ საბავლობა კრუტუნამ ერთი ჩიტიც რომ დაიჭიროს, მოვკლავო. კატა აბა რისი კატა იქნება, ზამთარში ჩიტებზე რომ არ ინაფიროს, მაგრამ ანუკამ ეს ამბავი მხოლოდ თავისი ამქეცყნად არსებონს მე-სუნარებულს შეიტყო და გაოცებული და შეძრ-ნუნებული გავალი იქოში. ლეღვის ძირას ყურშა ცხოვრობდა ჯიხურში დიდი, ჭრელი თათები გარეთ ჰქონდა გამოყოფილი და შა-ვი დრუნჩი ზედ ჩამოედო. ანუკამ გააღვიძა, კრუტო ხომ არ დაგინახახესო, ჰეთოთა. ყურ-შამ დაიციქებული ნამნამები თათების მონ-მინდა და, როგორც იქნა, მთენარებითა და ზმორებით, ანიშნა, ეიბის ქვეშ ბრძანდებაო. კრუტუნ მართლა იქ იყო მინაბული და ხელსაყრელ დროს ელოდა ნახტომისათვის. დიდ, კვადრატულ ფირფიცარჩე ჩამომსხდა-რი ჩიტები კი ანუკამ და ბებოს დაყრილ პუ-რის ნამცეცხებს კენკანებუნ. კიბის სილრმეში, სადაც კრუტო იჯდა, საშინლად ბრძლოდა. ანუკამ სიბრძლეში ხელი მოაფათურა და აკ-

ნავლებული კატა კუდით გამოათრია, კრებ-აიბინა, კრუტი ითაში შეაგდა, კრებული ნაც შეეცა, თერთად დაფიცებული შესრულებული შეერხია და ძალიან სერიოზული კილოთი უთხრა ბებიას: — ბებო, შენ გენაცვალოს შენი ანუკა, დღესვე ავილოთ ის ფირფიცარი და როგორმე ფანჯრის რაფაზე დაგმააგროთ გარება, იქ ვერ დაიტეს კრუტუნა ჩიტებ-სო. ბებომ ძლიერ შეეცავა სიხარულის ლიმი-ლი, მერე კრუტუნას გორგალი ესროლა და უთხრა: — აპა! გირჩევნის გორგალით გაერ-თო. გეყოს, რაც მე თვალები ვხუჭე შეს ავ-კაცობაზე, ახლა უფრთხილდე, ანუკა უსა-მართლოდ არვის დაგაჩაგვრინებსო. მერე თბილი ფეხსაცემები ჩაიცა, შალი მოიხუ-რა და ანუკას უთხრა: — აბა, შენ გენაცვა-ლოს შენი ბებია, ნავიდეთ, ახალი სასაფლოო ფირფიცარი დავუმააგროთ ჩვენს ჩიტუნებსო. ანუკა იმჩამსვე კარადა გამოალო, ნანდა-ნინვე მომარაგებულ საეკნე ხორბლით მუ-ჭები აიგოს და კიბეებზე ჩამავალ ბებიას და-ედევნა.

გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა.



ავთანდილ გაგრძელივილი

## ზამთრის პირი

ზეებიდან ფოთლები  
ფრენა-ფრენით ცვიციან.  
ბურთი და მოუდანი  
დარჩენა ცივ ნიავს.  
შიძელებიან ტოტები,  
მალე თეთრად დათოვს.  
აღუღუნდენ ბუსტიბი...  
ეველამ ცეცხლი დანთო.  
მოძეზღუნებ დათვები  
ჩაწვენ ნეშის დოგინში,—  
მრავალ სიზძას ნასავნ  
გაზაფხულის დოდინში!

## ხერაბუზა

შარაბუზა უშემდებრია,  
უკაქმერად მოხუცე,  
მას არა ჰეავს მეზობელი,  
ნათესავი, მოყენე  
რა შესცოდა ასეთი, რომ  
სოფლისძენ მოჰვევეს?



## ზღარბი

ნეშტენ ვაშლი წამოაცეა,  
შინისაენ გასწია,  
ჩეარობს, რათა გაახაროს  
ზღარბუნია შაწია.  
წინ მურია გადაუდგა,  
ატედა გაწამაწია,  
მაგრამ მურა რის ღააგლებს,  
ტანს კავშირი აცვია,  
ან ვაშლს რაღა ღააგლდება,  
წელს იმდენი ბსხია,  
ზღარბუნია შაწია!



თამარ დაუვილი

## პარძია

ძველი მესხეთის მიწაზე  
სულ სხვანაირი ქარ-მზე,  
აქ საქართველო ებრძოდა  
მტერს ღაუნდელებს,  
ღვარძლიანის.  
მეუე გიორგის წელდობით  
თამარს—ბოძენსა და აჩრიანს  
კლდეში, სართულით ქალაქში  
უშენებია ვარმია;  
სამას სიმოცი დარბაზი  
მტერს რისხვით შეერგინება,  
რაკი გიორგიმ ბრძანა და  
რაკი თამარმა ინება.




## პრ გამიშირდება

მიუვარს შეთო ჰურები,  
ზედ თუშური ჰელი,  
გამურებული ბურები,  
ნაზექი და ბევრი.  
ბებო მუდამ გვიცხობდა,  
ბებო საჟერელი,  
ახლა უპვე დაბერდა,  
ნშირად სტევა წელი.  
წესს: კორალერს ვაპეთე,  
თავი მომიტევდეს!  
ოჯახს ჭარგად უძლევება  
ჩელი ჰანა ბესო.  
ბებოსასყით თონები  
თუმცა ჩურს ვერ აკრავს,



ძროხის წევლა, რძის დღვება  
როდი უჭირს... მაგრამ  
სახე მაინც სშირხშირად  
ელრუბლება დარღით;  
თურმე ჰანა სულ მალე  
ზესითზე გადის.  
მეც მწურს გავისარჯო და  
ბებო გავახარო.  
ის კი მუდამ მიწურება,  
კურ ჰატარა სართ!  
მე სომ უპვე მამიქს  
იდაევამდე ვწევდება.  
კიდევ მომემატება  
სიმაღლე და წლები,  
მერე ნახავ, ბებიკო,  
სკოლაშიც რომ წაგალ,  
ადარ გამიჭირდება  
შინ შრომა და სწავლა.





მართალია, განვალდება ბიჭი, მაგრამ ხერხვას ხომ ისწავლის!

აი, ალიოშამ გადაწყვიტა პარმალი შედებოს, ანდა ფანჯრის რაცაზე, ყურძნების მიზრად დათესოს, — ბაბუა არც ამაზე უკინება უარს.

ასე ატარებს ალიოშა დღეებს. თავის აი-დო ოჯახისთვისაც სიხარული მოაქვს და თვითონაც ხარობს.

კარგია ცხოვრება, როცა უსაქმიდ არა ხარ და ხელიდანაც ყველაფერი გამოიგდის. ღრუბლიან დღესაც კი მხიარული ხარ. მაგრამ აი, ალიოშასაც გაუჩინდა საფურიალი...

ერთ მშვერეობ დღეს ალიოშა და ბაბუა როჭოებზე სანადიროდ წავიდნენ. ტყეში მიმაგალი გზა ბალის სანერგეზე გადიოდა, სადაც ხეხილი იზრდებოდა. სატერჯე შემოლობილი იყო, რომ შეი ნახირი არ შესულიყო და ხეხილი არ გაენდგურებინა, ანდა კურდლები არ შეპარულებული და ვაშლი ინ მსხლისთვის ძირი არ გამოეღრძნათ. მერე ხომ არაფერი უშველებოდა ხეხილს!

მიუახლოვდნენ ბაბუა და შევილიშვილი სანერგეს და რას ხედავენ: კარი ღია. ქარი რომ დაუბრევს, ჰისკარი ჯავახების გაექს-ვილაცას საგდული მიუგდევია. უკატრონდ არის მიტოვებული. საგდული მაინც ვერ მიაჭედეს? — უთხრა ალიოშამ ბაბუას. — აბა! ეტყობა ვერა ჰყავს კარგი პატრონი, — უპასუხა ბაბუამ, — ანჯამები მაინც გაეპოხა, თორემ ჟანგი შექამს და ჭიშკარი ჩამოვარდება.

— ჩამოვარდება, აბა რა იქნება, — კვერი დაუკრა ალიოშამ, — ბენვზე ჰყიდია. ცუდი ყოფილა სხვის იმედად ყოფნა.

— მართლა ცუდია, — გაეცინა ბაბუას, — ჩვენი ჭიშკრის შეხედვას რა ჯობი! ლურჯი საღებავით არის შელებილი, ანჯამებიც ზე-თით არის გაპოხილი და საგდულიც ისე სასიამოვნოდ რაკუნობს, გეგონება, მუსიკა უკრავს. ჩვენი ჭიშკარია და იმიტომ, ჩვენი... — ბაბუამ ეშმაკურად გადახედა შევილი-შვილს და გზა განაგრძო.

დიდხანს იარეს ტყეში. სამი როჭო და ორი გნოლებათამა მოინადირეს. ღრანტეები და ტევრი შემოიარეს. ისე დაიღალუნენ, ფეხზე ძლივის იდგნენ. უნდოდათ, დასევენათ, მაგრამ ტყეში ნესტი იყო და ბაბუამ თქვა: — ახლა მალე განაკალი გავალთ და იქ სკამზე დავისვენოთ. მიადგნენ განაკალს. ხედავს ალიოშა, მართლა სკამი დგას, სანახვროდ მიწაშია ჩაფლული, გაშეებულა და ხავსი მოსდებათ. გაუხარდა, ჩამოვნება, და მუხლი გაშება, თოთხოვს სავარელში ჩაჯდა. რა ჯობია დასევენებას. იჯდა ალიოშა და რომ დაისვენა, ახლა ბაბუას მიუბრუნდა: — ვისია, ბაბუა, ეს სკამი?

— არავისი არ არის, საერთოა.

ვავანი პარაბა

## სევისი ჭიშკარი

ალიოშა ხომუტოვი დიდი მშრომელი, გულმოდგინე და მუყიოთი ბიჭია. ამიტომ იჯახში კველას უყვარს. განსაკუთრებით კი — ბაბუას.

ალიოშა ბაბუას სთხოვს, მასნავლე ქრცელნის ხაფანებს როგორ უდგამო. ბაბუასთვის ეს განა ძნელი საქმეა! სიამოვნებით ასწავლის.

ალიოშას ახლა შეშის დახერხვა მოუნდება. უარს ვინ ეტყვის! ხერხს ერთ ბოლოს ბაბუა წაავლებას ხელს, მეორეს კი — შეილი-შვილი.

— ვინც გააკეთა, იმან ჩადგა მიწაში?

— აბა თავისით ხომ არ ჩადგებოდა! ეტყობა ვილაც კარგმა კაცმა გააკეთა. ის კაცი მარტო თავის თავზე კი არ ფიქრობდა, ხალხზე ფიქრობდა.

— კი არის, ბაბუ, ის კაცი?

— რა ვიცი! იქნებ ტყის მცველია, ანდა ვიმე გულისხმიერი მოხუცი, იქნებ სულაც შენსავით პატარა ბიჭია. მისი ვინაობა არავინ იცის, მაღლიერი კი ბევრი ჰყავს. მხოლოდ ის მატიკერებს, ვის თუ ეს სკამი მალე წაიქცეს, ფეხები უკეთ მონგრეული აქვს. აბა, ჩვენს ჭიშკართან რომ სკამი დგას, იმას კი არ ჰყავს, მოვლილიცაა და შეღებილიც.

დაფიქრა პატარა ალიოშა ბაბუას სიტყვებმა. მთელი გზა ხმა არ მოვულია. ის კი არა, შინ, სუყვარებული ბიჭი ალბათ დაიღალა! — მიფუვრა ალიოშას მამა.

— იქნებ ბაბუა და შეილიშვილი წაკინკავდნენ? — იყოთხა ახლა ბებიმ.

— რას ამბობთ, — უპასუხა ალიოშამ. — არც დავდლილვარ და არც ბაბუასთან მიჩნეული.

ერთი-ორი კეირის შემდეგ ბაბუა და შვილიშვილი ისევ სანადიროდ წავიდნენ. მიუახლოვდნენ სანერგებს. ბაბუა თვალს არ უჩერის. ჭიშკრისათვის საგდული მიუჭედებიათ, ანჯამები გაუპოხავთ, ლურჯადაც შეუღებებათ. სწორედ მისისი ცასავით ლაუვარდის ფერია.

— ალიოშა, ერთი შეხედე, — ხელი გაშვირა ბაბუამ ჭიშკრისაკენ, — სხვის ჭიშკარსაც პატრონი გასჩინია.

— ეტყობა კიდეც! — უპასუხა ალიოშამ და გზა განაგერძო.

იარეს, იარეს და განაკალზე გავიდნენ. მიადგნენ იმ სკამს, ამას ნინათ დასასტურებულია რომ ჩამოსხდონ, და რას ხედავენ? ცეკვისათვის ფეხები გამოუცვლიათ, საზურგე მიუჭედებიათ და ლურჯად შეუღებავთ.

— ესეც შენ, — გაოცდა ბაბუა. — ვილაც მაღლიანის ხელი ამასაც შეხებია. რომ ვიცოდე, ვინ არის, თავს შინამდე დავუხტიდი და ხელსაც მაგრად ჩამოვართმევდი, — თქვადა შეილიშვილს გადახედა. — შენ ხმო არ იცნობ იმ კაცს, შეიღო?

— ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ, ბაბუ, ოლონდ მთხოვა, არავის გავუმზილო მისი ვინაობა.

— რატომ?

— არ უყვარს, რომ შეაქებენ ხოლმე. თან მართინ ისას კი არ გაუჟეოდები კუველაჟერი. ბაბუამ შეილიშვილს თვალებში ჩახედა და მაშინვე მიხვდა, ვინ გააკეთა სკამი, ვინ მიაჭედა საგდული და ვინ შეღება ჭიშკარი. ბიჭს თვალებში ნათელი ედგა. იგი ბედნიერი იყო.

ამასობაში ზამთრის გვანი მზე ტყეს თავს დაადგა და შორეული ქარხნიდან ამომავალი კვამი გაანთა. ამ ორისტურმა კვამლმა ალიოშას სიხარული მომგვარა. ბაბუამ შეამჩნია და ახლა ეს უთხრო შეილიშვილს:

— ეს ქარხანაც, ალიოშა, ასე რომ ბოლაცას, კაცმა რომ შეხედოს, სხვისი ეგონება, სინამდვილეში კი ჩვენია, ჩვენია ეს მინაც და ყოველი სიკეთე.

თარგმანი მარიამ პავლიშვილი



# ତୃତୀୟ ପାତାଳ ତୀର୍ଥରୀତିଜୀବିତ

ଶିଖଚିହ୍ନ ସାଲିଶେଷତଃ

1919, 1920

ଶାହପିଲାଦି ଶମ୍ଭବ ପିଠେଶରାଜବିଲ୍

ଅବୀଳ ନେଇସ ଯାଏନ ପାରିଛିଶି ଶେଖଦା,  
ତିତ୍ତମିଳି ରୁପି ଧଳିଲ ମଶିଗେରି ଗାଢ଼ିଦାତ,  
ଲାମିଲ ନରମନ୍ଦିର ଗୁରାମି ଧାଇଲାଟ,  
ଶୁଲମିତିଲାଦ ହିମଥେମା, ଶାଶ୍ଵତିପାଦ ଗାଢ଼ା.  
ପାଶିଲୋମ ରେ ଏରୁ ଯୁକ୍ତିମ ଏହିବେଳା  
ଫା ଏରୁ ରୁଣ୍ଡିଗୁଣ୍ଠିରେ<sup>1</sup> ଏର ଗାଢ଼ିଶୁକ୍ତା,  
— ନ୍ଦିରୁଶ୍ରେଷ୍ଠ ଶେଖନାଗାରୁ — ଗାନ୍ଧିଜୀରା ରୂପ  
ପାଲାଦ ମେଥିଲଦେଇ ମିଶାତ୍ରାରା ଏହିଶୁକ୍ତା.  
ମିଶାତ୍ରାରା ଯାଏନ ଶେଖନା ଗାଢ଼ିଦାତ  
ଫା ଲାଜୁନ୍ଦିରେନ ଗାମିନଦା ଗାନ୍ଧାରାଦ,  
ଏରିମିଶିରିରେ ଶୁପ୍ରତ ଗାନ୍ଧାରା  
ଫା ଫାଇରେଗନ୍ଦରିନ୍ଦରେ ଶୁପ୍ରତ ହିଜାରା.  
ଯାଏ ଲାଜୁନ୍ଦିରେନ ଶାଶ୍ଵତାଲାଦ ଯୁଲନ୍ଦିରା  
ତାନାମେଧିରିନ୍ଦରୁଗ୍ରୁ ମିଶାତ୍ରାରିଲାଇ ଯୁଲା  
ଫା ଗାତ୍ରିପ୍ରେବିତ ହାତ୍ରାଗୁଡ଼ା ପାରିଛି,  
ଶୁଲିଶେ ମିନ୍ଦରୁଗ୍ରେବେ, ବେତ୍ରିରାମି ରୂପ ଏବନାର.  
ମି ନେଇସ ମେଗନ୍ଦରୁଗ୍ରେବେ ଶୈଳି ନେନ୍ଦାଲାଦ,  
ଯୁମିରା ଶ୍ରୀପଦମାଦ ଶୈଳିର ନେନ୍ଦାଲାଦ,  
ଅତାମିର ଅନ୍ଦର ପ୍ରିନ୍ତା ଫାତ୍ରାତ୍ମିକେ,  
ପ୍ରତାମାଦିନ ଯୁଲାଦ ପିଶିରୁଗ୍ରେବେ,  
ଅବୀଳ ପାଦନ୍ଦିଗୁଟିକେ, ଅବୀଳନ୍ଦିଲ ଶିଲ୍ପରିବଳିନ୍ଦେ  
ରିମ ନ୍ଦିରାନ୍ତ ଗାଢ଼ାତ୍ରାହାତ,  
ରାତା ଶେରିରୁଲ ଅମ୍ରିକ୍ରାଶି  
ପାନ୍ଦିମିଳ ଧିନ୍ଦି ଏବନାହାତ.  
ଏରିତ ତେବେ ତାଵିଶ୍ଚ ନେବେ ପାନାମା  
ଫା ଏବନ ମାରିତିଲାଦ ଗରାନ୍ଦିପାଠିଶୁଲି,  
ଶାତ୍ରାଦ ମିଶିଲାଲିମ ଯୁଗ୍ରା କ୍ଷେତ୍ରନିର୍ଦାନ  
ଶୁରିପତ୍ରେ ବାଲବୀ ପ୍ରମ ମିଶିଶୁଲି.  
ଏ ପିରେମିଳ ଯୁଗ୍ରା ଏବନିକେ  
ଫା ଯୁଗ୍ରା ଶେଖିଶେ ଏବନାମିଳି,

ଶୀଳି ତୁ ପାତ୍ରି, ଧିନ୍ଦି, ପାତ୍ରିରା,  
ଶୁବେନାମିଲ ରୂପ ଏବନାମିଳି.<sup>2</sup>  
ଯାଏ ଲାଜୁନ୍ଦିରେନ ଶାଶ୍ଵତାଲାଦ ନେନ୍ଦିରା,  
ଶୈଳିର ନେନ୍ଦିରା ଶାଶ୍ଵତାଲାଦ ଗରୁନ୍ଦିରା,  
ମିଶିଲାଶୁରିପାଠ ଫାଲିଲିଲ-ଫାର୍ଜାନିପୁଲି  
ଏନାତ୍ରିରୁପାଠ ଶେନ ଫାର୍ଜାନ୍ଦୁନ୍ଦିରା.  
ମାଗରାମ ରୂପ ଶ୍ରୀନା, ଶାମିଶାରିର ଯୁଲା  
ରିଗରିର ଶେଶିରା ଏହି, ପାନାମାଶି,  
ରୂପିରିର ଶେଶିରା ଏହି ପିତ୍ରିଶ ଶେଶିତାଗାନ୍ଧିଶ  
ଏରିଏ ଅମ୍ରିକ୍ରାଶି ଯୁଲାମିଶ ତାମାଶି.  
ଯୁଲାମିଶ ମାଗରାମ ରୂପ ଗିନ୍ଦା!  
ଯାଏ ହିଶ୍ଵାରିରା କୁରୁଶି ଯୁଲାମିଶ,  
ରାଜରାମ ମିଶାତ୍ରାରିନ ପାନିଶ ପାଦରୁନ୍ଦା,  
ମି କୁ ଗାତ୍ରିରିନିରା ଲମ୍ବ-ଶାନ୍ତିଲୁଗ୍ରେଶିଶ.  
ଏହି, ତେଲିଗୁଶୁଲିଦିଶ ପାରିଶିଗ୍ରାଲାପାତା ଶରିଲି  
ଯାଏମ ଏବନିଶ ଫାଲିଲି ତ୍ରିଲାପ  
ରୂପ ଶେଶିରୁଲା ଶେଶାନିଶନାଵାର  
ଫାଲିଲି ଶେଶିରୁଲା ଶେଶିରୁଲିଲି ରିଲାପ.  
ମାଗରାମ ରାମ ନେବିଶ, ଏମିରିକ୍ରାଶି  
ଦାଶିଶ ନେଇସା ତାଵିଶ ଗାତ୍ରାନା,  
ତୁ ଏର ଗାତ୍ରିଶ ଯୁଲାମିଶ, ଏର ଗାତ୍ରିଶ ପାତ୍ରିରିନି,  
ତୁ ବାର ଶାଶ୍ଵତାଲାଦ ଫା ବାର ପାତ୍ରିରା,  
ତେଲା ଯାଏମିଶ ପ୍ରେଲାର ଶିଶ୍ଵେଲା  
ପାତ୍ରି ନେଷିମା ଏବନିଶ ପାତ୍ରିକ୍ଷେପିରିଲାଦ,  
ଫା ମାଲାଶ ଶେଶାତା ମିରାପାତା ଗରେଲାଦିତ  
ମାଶାକ ନେଇସା ବେଦା ଉମିଶ୍ଶେପିରିଲାଦ.  
ମାଶ ମେରେ ଗିଗି ଏବନିଶ ଶୁନାଶାବେ,  
ତୁରମ୍ଭେ ତୁରାଲିଦ କୁ ଏବନାଦ ମିଶିରାପାତା,  
ଅଭିନଦ୍ରିନ, ତିତ୍ରିଲାଦ ଲମ୍ବ-ଶାନ୍ତିଲୁଗ୍ରେଶିଶ  
ତେବିତ ଏଲ କାମନ୍ଦେଶ ଶିଶ୍ଵେଲିଶ ମିଶିରାପାତା.

ಶ್ವಾಗನ್ ಮಹಡಿಯಲ್ಲಂಬಾಮ ಶ್ವೇಸರ್ವಾ ಮಿಂಬಳಿನಿ  
 ಹಾ ಸಿಂಧ್ರಾಲ್ಯಾಲ್ಲಿ ಅಲ್ಥರ್ ಪ್ರವೇಲಾಶೀ,  
 ಗಾಂಧಾಸ್ಯಾತ್ರೇಧಿತ ಜ್ಯೇಷ್ಠಾಂಭಿ ಪಂಶ್ಯ,  
 ನ್ಯಾಸಾಂಗ್ರಹಿತ ಸಾಂಕ್ರಾ ನೊಂಡೆಲಾಶೀ.  
 ಸಾಂಕ್ರಾಂತ ಪ್ರವೇಲಾಶಿ ಗಾಂಧಿತ್ಯಿರ್ವಾ  
 ಫಿಂಥಿಂ, ಪಂತ್ರಾಶಿ, ಕಿಂತಿರ್ವಾ ಹಾ ಪಂತ್ರಾ ಶ್ವಾರ್ವಿ  
 ಮಿನಿಲ್ಲು ಹ್ರಿತಂತ ಸಾಸ್ತಿತ್ಯಾ ಹಾರ್ತಿಪ್ರಿಯಾ.  
 ರಾಪ ಶ್ವೇತಾಶಾ ಸಾತ್ರಿಂಗ್ಲಾ ಶ್ವಾರ್ವಿತ್ಯಾಸ,  
 ಶ್ವಾಸ ರಂಧ ಚಕ್ರಾಮ್ರಿತಿ ನ್ಯೇಂದ್ರ ಉಲಂಡಾ,  
 ತಾವ್ಶಾರ್ವಾಂಗ್ರಹಿತಿ ಹಾ ರ್ಯಾತ್ರಿಧಾಸಬ್ರಹ್ಮಿನಿ  
 ಪ್ರಿಧ್ಯಾಲ್ ಶ್ವಾಸ್ಯಾಂತಾ, ರಂಗಂರ್ಪ ಪ್ರೇಲಂತ್ಯಾ.  
 ಶಾಗ್ರಾಂತಿ ಗಾಂಧಾರ್ವಿಶಾ ಹಾ ಶ್ವಾರ್ವಾಂಗ್ರಹಿ  
 ಫಿಂಥಿಂ ದಾರ್ವಣಿತ್ಯಾ, ಅಂ ರಂಗ್ಲಾ ಶ್ವಾಗ್ರಿ ಕ್ರಿ  
 ಗ್ರಹಿತಿ ಅಂದಾಶೀ ಒಜ್ಞಾ ಹ್ರಿಧಾ ಹ್ರಿಧಾಂತಾ  
 ಅರ್ಪ ಸ್ಯಾರ್ವಿದ್ರಾ ಸಕ್ತಿಂಧಾ ಹಾ ಅರ್ಪ ಶ್ವಾಗ್ರಿ.  
 ಅಶ್ರಿತಾಂಗ್ರಹಿತಾ ಖಂಧಿತಾಂತ ತ್ರಾಂಗ್ಲಾಪ್ತಿಸ,  
 ಶಂಗ್ಲಾ ಜ್ಯೇಷ್ಠಾಂಭಿ ತಂ ನಿಂದಾ ನಿಂಸ್ಲಾಪಿಶಿ  
 ಹಾ ದರ್ವಾಂಗ್ರಹಿತಾ ಪ್ರಾಂಗ್ಲಾಂಶ್ಯ ಶ್ವಾಗ್ರಾ  
 ನ್ಯಾಪಿ ನ್ಯಾಲಿಸ ಮ್ರೇಗ್ರೆ, ವಿತ ನಂತಿಸ್ಲ್ಯಾಸಿ.

1. ಹ್ರಿಂತ್ರಿಪ್ರಿಂ — ಹ್ರಿಂತ್ರಿಪ್ರಿಂ ಸಿಕ್ಕಿತ್ವಾಗಿ ಗಾಸವೀಶ್ವೇಶ್ವರ್ತಿತ್ಯಾ  
 ಹಾರ್ತಾರ್ತಿ, ದ್ರಾಂತ್ರಿತ್ಯಾ ವಿಲ್ಲಾಂಗ್ಲಿತ ಹ್ರಿಂತ್ರಿಪ್ರಿಂ, ನಿತ್ಯಾಂತ್ರಿತ್ಯಾಲ್ಲಿ  
 ಮಿನಿಲ್ಲಿನಿಸಿ ಸಾಂಕ್ರಾಲಿಸ ಮಿನಿಲ್ಲಿನಿ, ಹಂತ್ರಿಲ್ಲಿಂತ ಲಂತ್ರಾಹಿನ್ಯಾ  
 ಹಿಸ ಸಿಸ್ಲೆಗ್ರಹಿ.

2. ಸಿಂಧ್ರಿಂತ್ರಿ ಹ್ರಿಂಧಿನಿಗಾ — (ಹ್ರಿಸ.) ಸ್ವಲ್ಪಿ ಅಂತ್ರಿಂತ್ರಿ ಸಾ-  
 ಧಾಲಂಲಿ.

3. ಮಂಂತ್ರಿಂ — ಮಂಂತ್ರಿಂ ತ್ರಾಂತ್ರಿತ್ಯಾಲ್ಲಿ ತ್ರಾಂತ್ರಿತ್ಯಾ.

4. ಶ್ವಾಲ್ ಶ್ವರತ್ತಾರ್ತಿ ನಿಂತ್ರಾಂತಾ ನಿಲ್ಲಿನಿ  
 ನ್ಯೇನಿಸ, ಮಂಂತ್ರಿನಿ ಹಾ ಪ್ರಾಂತ್ರಾಂತಾನಿ ಶ್ವಾಲ್ ಶ್ವರತ್ತಾರ್ತಿನಿ.

5. ಮಂಂಲ್ಲಾಂಗ್ಲಾಂ — ಮಂಂಲ್ಲಾಂಗ್ಲಾಂ ನಿತ್ಯಾಂತ್ರಿತ್ಯಾಲ್ಲಿನಿ.

6. ಅಲ್ ಪಾಪಂತ್ರಿ — ಅಲ್ ಪಾಪಂತ್ರಿ ಮಂತ್ರಾಂತ್ರಿತ್ಯಾಲ್ಲಿ ಅಂತ್ರಾಂತ್ರಿ-  
 ಸಿಂಧ್ರಿಂ ಹಾ ಶ್ವೇತಾಂತ್ರಿ ಅಶ್ವಿ-ಶ್ವಿ.

7. ಶ್ವೇತಾಂತ್ರಿ — ಅತ್ರಾಂತಾ ದ್ವಾರತಿ ಶ್ವಾಂಗ್ಲಾಲಿ ಬಾಸ್ಯಾಂತಿನಿ ನಿ-  
 ಎಲ್ಲೆತ್ತಾರ್ತಿ ದ್ವಾರತಾಂತಿನಿಸಿತ್ವಿ.





არომად გამართონ

## როგორ ისახო თქმე ცემალები

მტაცებელ ცხოველ-ფრინველებს ისეთი ღონისერი ეშვები, ისეთი ბასრი ბრჭყალები, კაუჭა ნისეარტი და შესამიანი კპილები აქვთ, რომ ძალიან ძნელია სუსტმა არსებებმა მათ თავი დააწიონ. მაგრამ ბუნებაში ნონას-ნორია არასიდდეს, ირლევე — რამდენიც თავდასხმის ხერხია, იმდენივე — თავდაცვის საშუალება.

ძალასისმჭამელ გოლიათ ცხოველებს — სპილოს, მარტორქას, ბეჭეროთს მტაცებელი ცხოველები — ვეზხვი, ლომი და მათი მსგავ-სნი იოლად ვეზხვი შეპბეჭავენ. სხვებს — ხარს, ხარულ ამეჩს, უიაფუს, ტას თვი-თონ შეუძლიათ შეუტიონ მათ, რადგან ძლი-ერ სხეულთან ერთად თავდაცვის სხვა მშლა-ვრი იარაღიც — რქები, ეშვები, ღონისერი კადურები აქვთ.

ამითომ მტაცებელები ერიდებიან ხოლმე ზედმეტ „თავგადასავლებს“ და უფრო სუს-ტებს ესხმიან თავს, თუმცა იოლად არც მათი მინადირება შეუძლიათ. საკუთარი ტყვია რომ გადაირჩინონ, სუსტი არსებები ათას-გვარ ფუნდს მიმართავენ. საემარისია, მელამ ნამდალელოთა, რომ ზღარბი ეკლიან ბურთად იქცეს, ეუ ჯავრნა გაუვავდეს, ლოკოუნა ნი-უარად ჩამოისხას. ზოგ ცხოველს მაღდი უე-ხები შეველის, ზოგს — უკანა ტანიდან გას-როლი ქიმიური ყუმბარა. ხიფათის მოაბ-ლოებისას ამერიკული სკუნსი, ხორქობმ-დამშენი ან რვავეხეა ისეთ შესამიან ღრუ-ბელს — საშინელი სუნის გაზს ან სითხეს


გამოისვრიან, რომ უკან ახევინებენ და ზღვის აღიარებულ მეკობრეს — ზეგებაც.

მაგრამ ქვეყნად გაცილებით არაუკანას თაცხოველები, რომელთაც თავდაცვის ასე-თი საშუალებები არ გააჩნიათ და მაინც არ-სებრები ამ ხიფათითა და ფათერაკებით აღ-სასვე ბუნებაში. თურმე თვით ბუნება დაეხ-მარა ამ ერთი შევეღით „უილლი“ დასრულდებოთ.

განვითარების მრავალი ათავეული წლის მანძილზე მათ გამომუშავდათ შენიბლების, გარემოსთან შეხამების უნარი. ხიფათის მოახლოებისას ზოგი თავის საცხოველებელ ადგილს ნიადაგს, ხეს, ქვის ეხამება ფორ-მით და შეუერთილობით. რომ მტერმა ვერ შეამჩინოს, ზოგიც მტაცებელ ან საკუ-ბად უფარგის ცხოველს ემსგავსება, რომ თავ-დამსხმელი დააფრიხოს.

ბუნებაში უფრო გავრცელებულია მფარ-ველობითი შეფერილობა. აი, მიაბიჯვებ შე-მოდგომის ნითელ-ყველთაღ ნაჯარგ ტყერი. უცბად მაფალოს, თითქოსდა ქარმა დაპე-რაო, ფოთოლი მოსწყდა, ფარფატით მინაზე დაეშვა და... შეირხა. სინამდვილეში ეს პე-პელა — შემოდგომის მზომელა დაეშვა მი-ნაზე. იგი მთელი თავისი სიცოცხლის მან-ძილზე მცენარეს ემსგავსება: მატლობასას ტოტსა ჰგავს, ჭუპრიობისას — გაზაფხულის ნორჩ ფოთოლს, უკვე პეპელად ქცეულა კი — შემოდგომის ფოთოლს. როგორი ყურად-ლებითაც არ უნდა მიაშტერდე მცენარის ბალლინჯოს — პეპრიკუს ფრაგილისს, ის მიდენად ჩამოგვავს ხის ფოთოლს, რომ ვე-





რაფრიც ვერ მიხვდები თუ მწერია. ასევე წგავს ხმელ ფოთოლს ერთგვარი კუტეალია. ფრთხობზე მას ისეთი ლაქები აქვს, გეგმნებათ სოქოსაგან დაზიანებული ფოთოლიაო. კუნძულ იავაზე მცხოვრებ ბუზებს მუცელზე ერთგვარი გამოჩაზარდები აქვთ, რცა ფორმით ხის ფოთლების სრულ ასლად აქცევს მათ.

ფოთლის „ნაბაძვის“ ყველაზე დიდი ოსტატია ინდოეთის ბინადარი პეპელა — კალიმა. ფრთხოის ზედა მხარე მას კაშეამა და მძიდულია მაქმნებით აქვს მორთული, ქვედას კი ხმელი ფოთლის შესახედაობა აქვს. თუ პეპელას უნდა თავი მოინონოს, მარაოსავთ გადაშლის თავის ულამაზეს ფრთხებს, მაგრამ თუ მიტერი გამოჩნდა, ფრთხებს კეცავს და ხატულა პეპლის მაგივრად თავისთვის გდიდა ან ხის ტოტზე პეპლის უვარევისი, გამხმარი ფოთლი კალიმა ისეთი ეშმაკია, რომ ხის ტოტზე ზოგჯერ რიტმულად ქანიობს, გეგმნებათ, ქარი უბრავს და ფოთოლს არ-ხევსო.

ბევრი მწერი მოხერხებულად ემსგავსება ხის მერქანს და მცენარეთა ეკლებსაც. ამიტომ არის, რომ ზოგი ქვეყნის მოსახლეობას სწავას, ეს მწერები მცენარეთა კვირტებისა და ფოთლებისაგან არიან წარმოშობილი.

ტროპიკულ ამერიკაში ცხოვროს საკენალო უკარგისი პეპელა-ცელიკორიდი, რომელსაც ურინველები სათოფეჭე არ ეპარებიან. ამიტომ სხვა პეპლებიც, თავის დასაცავად, ჰელიკორიდებს ემსგავსებიან შეფერილობითა და ფორმით თუ ფრენის მანე-

რით; ემსგავსებიან იმდენად, რომ ზოგჯერ ლეპიდოპტეროლოგებს, ანუ პეპლების შემზადებელ მეცნიერებასც უპირენეს თავგზას. სამხრეთ ამერიკაში ერთი სახეობის კუტეალი ნორელა ძალიან წააგავს ხეხადაღებულ ანგა. მერე რა, თუ ზომითი გაცილება ნაკლებია მსგავსება მაინც აღნევს მიზანს — მტერს აშინების ამიტომ არის რომ, ინდიები ამ მწერს „ალიგატორს“ უწოდებენ.

მდინარე ამაზონის მიდამოებში შეინდებისა დატორიანას პეპელა, რომელსაც ღირებზე ბუს გადატყუკეულული თვლები, მის ნისკარტსა და ბუმბულს მიმსგავსებული სურათი ახატია.

მაგრამ ცხოველებს შორის გარდასახვის დიდოსტატია ხელიკი — ქამელონი. განსაკლეულის დროს იგა ნებისმიერი გარეშე საფერილობას უხამებს თავის ფერს. ქამელონი ყველაფრით უცნაური ქმნილებაა. სრულიად უჩვეულო ფორმის სხეული და უცნაური ქცევები აქვს. აქედან გამომდინარე, ხალხში გავრცელებული დაუჯერებელი ეგვენდება, ათავსდა იგი საიდუმლობრივი მოცული დაკაფებებების ინვენციას. ქამელონი სიკედილითაც უჩვეულოდ კვდება — სულს დაფავს ალასტერ-ნითლად შეფერილი, ე. ი. ფერით, რომელიც ყველგან ასახიერებს ბობიქარ, მჩქეფარე სიცოცხლეს, ალს, სტიქიონებს... აქ კი სიკედილის აფრიკა, ადგილობრივი კი მცხოვრებლები ძეველად ქამელონს აკ სულად თვლიდნენ და ყველაზე მრისხანე მტაცებლებზე უცრო მეტადაც ეშინოდათ მისი.





ნინო გელობელიშვილი

## მეგობრები

ნაბლისცერკულულებიანმა გოგონამ აივ-  
ნის საფეხურები აირჩინა. სამზარეულოში  
მოფუსტუსე დედას მიუხსლოვდა და ფლისტა-  
ლიონის მოტანილი კონვერტი გაუწოდა.

— პრაღა, პრაღა! ვინ გვივევს ჩევენ პრაღა-  
ში? — იყითხა ქალმა, კონვერტს ცალი მხარე

ფრთხილად მოხია, ნერილი ჩაიითხა. და მას  
ღმებული შვილს მიუბრუნდა: სისალის მიზანი

— შენ გწერი! — უთხრა ალექსია და  
ლამაზნახატიან ქალალდზე რუსულად დაწე-  
რილი ნერილი თვალებში ნაპერნეკლები აუკიაუ-  
და, სხვე გაუზრუნდა, გულისყრით ჩაი-  
კითხა ჩეხი პიონერის რადა ვოდიშვილას ნე-  
რილი.

სურათზე მთელი მსოფლიოს პიონერული  
მეგობრობის კურა — პიონერთა ბანაკი „არ-  
ტექ“ ეხატა. ნათელას გაახსენდა, რომ რადას, რომელ-  
საც ის „არტექში“ დაუმეგობრდა, ხატვა  
ეხერხებოდა, და აი, მისი დახატული „არტე-  
ქ“ მიიღო ზაფხულში დაწყებული მეგობ-  
რობის სამასხვერიოდ.

საპასუხო ბარათან ერთად ნათელამ თა-  
ვის მშობლური საქართველოს ხედები გა-  
აგზავნა პრაღაში; დღეს კი მეორედ მიიღო  
რადას ნერილი. მეგობარს კონვერტში თვა-  
ისი სურათი ჩაედო. ნათელას ლოყები გაუ-  
ვარდისფრდა, დიდხანს უცემირა სურათს.  
ჩეხი გოგონა კეთილი და მეგობრული თვა-  
ლებით შემოპურებდა.



მათერიალური გათხვას უზიანი

# ქართველი კულტური

## ბუბურა

ნოვემბერი 1960 წელი  
ორი შეცობარია,  
მათი გამკირევებია:  
სულ მხარდამხარ მირბიან,  
რჩნით არ იღლუბიან,  
ველს ნავარდით ფარცვენ,  
მღინარეს ევლებიან,  
ერთერთს არ შორდებიან,  
არც უახლოვდებიან.



# ქართველი

საქართველოს აღმდეგისა  
ვ. ი. შეცნის სახლობის პირნერთ  
თ რეაგინზე აღმდეგის რეაგულირუ  
რი საბჭოს ტურნილი უმცირის  
კლასელთათვეს.

გამოიდის 1928 წლიდან.  
საქ. კა ცუ-ის გამომცემლობა.

შთავარი რედაქტორი  
მემე 60 მეტადი

სარდაცვებული კოლეგია: ერუანდ აჯან  
აძა, შავან ანდონი, ლაგან ან-  
და, 2060 ასაკოვილი, სოლი-  
ვის დაცვისამართი, ლილი  
ორა, ვალა ლიანარიშვილი, მარადა  
გრილიავილი, ქარჩა დაბირაძე,  
გიორგი როსტოვილი (სასატრი  
რედაქტორი), მიხეილ გალაშვილი (3/ს-  
მდგრადი), მიხეილ გალაშვილი, მიხე-  
იელი, მარიამ ხარაგავილი.

ტექსტური რედაქტორი  
ონდი წერეთლი

მისამართი: რედაქცია, გამომცემლობის,  
სტრიქის-თბილისი, ლიტინი, 14, თბილი-  
სი. რედაქტორი: მა-41-30, მა-98-15;  
პრე. მდგრადი: მა-10-39, მა-98-18; სახ. რედაქტორი — მა-98-19; გამურილე-  
ბელი: მა-98-19; მა-98-17.

გრაფიკა: ასულიანა 6. 11. 86 წ., ხელ-  
მოწერალი დამატებული 10. 12. 86 წ.,  
ქართველის ჰიმნი 80×90 1/2, ფრ. ნამ.  
ცურა, 2,5. ტირაჟი 168.000. ფასით:

დღიური ნახატი 80 ლ  
ნიუსარელის

«Диля» («Утро»), ежемесячный  
журнал ЦК КПСС Грузии и Грузинского  
Республиканского Совета  
Всесоюзной пионерской организации  
им. В. И. Ленина для младшеклассников,  
на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства  
ЦК КП Грузии.  
Главный редактор Энвер Нижарадзе  
(тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж  
168.000. Заказ № 2604.



# „აიდუ“ კალენდარი

საქართველო  
საგანგიპოვანო

1986 წელი მიიწურა... მაღვე გათენდება ახალი წლის დღიდა. და ეკრანზე დადგინდებო, ამ ახალ წელს. ჩვენი ერთ-ერთი კეთილდი საახალწლო სურვილი, მომავალი წლიდან „დიღდა“ უფრო ძირის დადგენილი და საჟარელი გახდეს თქვენთვის; ჯორუ აქმდე იქთ. ეს ჩვენი, რეაქციის მუძაქების გასაკეთებელია, მაგრამ თქვენი დახმარებაც გაქმირდება.

რაძი უნდა გამოიხატოს ეს დახმარება?

გთხოვთ, კარგებ ერთხელ გადახედოთ „დიღდის“ 1986 წლის ნომრებს და გვიასხებთ რამდენიმე შეკითხვაზე (პასუხების ჩამოვალიდებაზე უფროსებიც მოიხმარით).

1. რა მოგეწონათ ევრო 1986 წლის „დიღდის“ ნომრები? რომელი მოთხოვთა, რომელი ლექსი, ზღაპარი, ნარკოტიკი, საუბარი? შეკითხვით მოგეწუროთ ისიც ევრო ზე ნაკლებად რა მოგეწონათ. ოდონდ, სახურების, ორიოდე სიტყვით დასხმულოთ, რატომ მოგეწონათ ან არ მოგეწონათ ესა თუ ის ნაწარმოები.

2. რა სისიათის მასალებს ამჟობინებთ — მოთხოვთას, ლექსს, ზღაპარს, პოემას, თუ საუბრებს სხვადასხვა საინტერესო, საგანმანათლებლო თქმაზე, საამბობს გამოჩენილი

ადამიანების შესახებ, გამოცხადა-თავსაცემების, შეარდებს და გასართოების. იქნებ რაიმე სურვილი გაქვთ ამას თან დაკავშირებით. მოგმენერეთ.

3. შემოგვითვალებეთ თქვენი აზრი ეკრანზე გაფორმებაზე. რომელი მსატერის ნამუშევრები უფრო მოგწირო? როგორი გაუორმებული გინდათ იქს „დიღდა“ მომავალი?

4. „დიღდას“ აქვს თვეისი რეარიენტი, ანუ განხოფულებები: „შექურების ცელავი“, „სიტყვის კონა“, „ბენების ქარი“, „რეაციის უგრი“, „ცისარულება“, „რა ხელმა ააკო“, „ერთოგრაფიული გუთხე“, „ხითხითება“, „ექრები ქაბელები“ და სხვა. ეკრანის გამორჩეულებების მიზნით იქნებ თქვენც შემოვკითხუთ რაიმე ახალი რებრივა.

5. მოგეწურეთ, აგრეთვე, თვის რომელ რიცხვში იღებთ „დიღდის“ მორიგ ნომერს.

თქვენი სურვილების გათვალისწინებით, თქვენი შენიშვნების მხედველობაში მიღებით აღნათ ეკრანიც მოიგებს და შეითხვებიც. აბა, ნე დაგენარიზებით! დაეხმარეთ თქვენს „დიღდას“.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს!



მსატვარი

ვიოლეტი როინივალი